სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 12 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***Lesquen du Plessis-Casso** საფრანგეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54216/09*

აპლიკანტი საფრანგეთის მოქალაქეა, დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს ვერსალში. იგი მუნიციპალური საბჭოს წევრია და ხელმძღვანელობს ადგილობრივ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც მთავარი ოპოზიციური ძალაა ქალაქში. მან განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მუნიციპალური საბჭოს სხდომის მსვლელობისას პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ცილისწამების გამო. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. ფულადი კომპენსაცია განმცხადებელს არ მოუთხოვია.

- *ერიკსპნი შვედეთის წინააღმდეგ – განაცხადი №60437*

აპლიკანტი შვედეთის მოქალაქეა, დაიბადა 1942 წელს და ცხოვრობს ტროსაში (შვედეთი). 2000 წელს სამუშაოზე ყოფნისას მას მოუვიდა გულის შეტევა და განუვითარდა ცერებრალური დამბლა, რის გამოც ვადამდე ადრე დაენიშნა პენსია 2001 წლიდან. ამის მიუხედავად, 2003 წლის აპრილში სოციალური დაზღვევის სამსახურმა უარი განუცხადა სიცოცხლის ბოლომდე პენსიის დანიშვნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელმა ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა, მაგრამ ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ გააუქმა სოციალური დაზღვევის სამსახურის გადაწყვეტილება. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნები.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

წარმოდგენილ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევის თაობაზე, საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო.

- *კრალი სლოვენიის წინააღმდეგ – განაცხადი №21313/06*

აპლიკანტი სლოვენიის მოქალაქეა. 1993 წელს მან სამოქალაქო სარჩელით მიმართა სასამართლოს თავისი მეზობლის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი მანქანის გადაყვნა სხვა ადგილას, რადგან თავისი სახცოვრებლის მისადგომებთან უბლოკავდა მისასვლელს. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის გაჭონურებული განხილვების გამო და ასევე, ეფექტური მისაგებლის არარსებობაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი.